საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/592

13----ნოემბერი, 2020 წელი

ქ. ბათუმი

თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე სეჰა მირზა არასის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, 52–ე მუხლის მე–3 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ "ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ებრუ ერდემირის 2020 წლის 26 აგვისტოს №729954 განცხადების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 20 ოქტომბრის ბრძანების (MES 1200001013234), სეჰა მირზა არასთან გაფორმებული ხელშეკრულების (N27-15/232-2004/ე 29/10/2020), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 13 ნოემბრის № MES 7 20 0001094213 მოხსენებითი ბარათისა და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ლელა თავართქილაძის 2020 წლის 13 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის (1093925) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე სეჰა მირზა არასი (პასპორტის N) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან (სწავლის პირველი სემესტრი).
2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს:

ა) ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილებასთან ერთად, სეჰა მირზა არასის სასწავლო კურსების აკადემიური რეგისტრაცია და დარეგისტრირებული კრედიტების სწავლის საფასურის გადახდისათვის შესაბამისი ინფორმაციის სტუდენტისთვის მიწოდება;

ბ) წინამდებარე ბრძანების სეჰა მირზა არასისთვის გაცნობა (გაუგზავნოს სეჰა მირზა არასს ხელშეკრულებაში (N27-15/232-2004/ე) აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე) და განთავსება სტუდენტის პირად საქმეში.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ., №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**